



# Tax and Legal Newsletter



## ცვლილებები კანონმდებლობაში საკანონმდებლო სიახლეები საგადასახადო და სხვა

2019 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს კანონმდებლობაში, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა.

## სასამართლოს პრაქტიკა

### საკონსტიტუციო გადაწყვეტილება სასამართლოს

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმა, რომლითაც სასამართლოს არსებით სხდომამდე მხოლოდ ბრალდების მხარე იყოს უფლებამოსილი მოწმე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაეკითხა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებული რედაქციით, გამოძიების სტადიაზე, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობა ჰქონდა მხოლოდ ბრალდების მხარეს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობდა ინფორმაცია ან ფაქტი, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებდა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის შესახებ და აღნიშნული პირი უარს აცხადებდა ნებაყოფლობით გამოკითხვაზე. ასეთი შესაძლებლობით ვერ სარგებლობდა დაცვის მხარე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის არგუმენტაცია და დაადგინა, რომ სადავო ნორმა სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსად მნიშვნელოვან საპროცესო უპირატესობას ანიჭებდა ბრალდების მხარეს. მას ჰქონდა მოწმის წინასწარ დაკითხვის და შესაბამისად არსებითი სხდომისათვის უკეთ მომზადების შესაძლებლობა. ამასთანავე, მხარეთა თანასწორობის ამგვარი შეზღუდვა ვერ ბალანსდებოდა დაცვის მხარისათვის არსებითი განხილვის სხდომაზე მოწმის იძულებით დაკითხვის უფლების მინიჭებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა და სადავო ნორმა, არსებითი განხილვის გარეშე, ძალადაკარგულად ცნო.

ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება გადაავადა 2020 წლის 31 მარტამდე, რათა საფრთხე არ შექმნოდა გამოძიების ეფექტურად წარმოებასა და მართლმსაჯულების აღსრულებას.

ამრიგად, 2020 წლის 31 მარტიდან, სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ ინფორმაციის მფლობელი ნებისმიერი პირი შეიძლება დაიკითხოს სასამართლოში როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის შუამდგომლობით, მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილების შემთხვევაში.

### საქართველოს უზენაესი სასამართლოს საინტერესო გადაწყვეტილება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2019 წლის 24

ოქტომბერს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო საიჯარო ურთიერთობის განმავლობაში იჯარის ობიექტის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების მეიჯარის მიერ ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

სადავოს წარმოადგენდა ის გარემოება, რამდენად ეკისრებოდა მეიჯარეს მოიჯარეს მიერ გაღებული ხარჯების ანაზღაურება ისეთ ვითარებაში, როდესაც მხარეები ხელშეკრულებით არ იყვნენ შეთანხმებულები ასეთი ხარჯების ანაზღაურებაზე, ამასთანავე მეიჯარე არ იყო წინააღმდეგი, რომ მოიჯარეს მოეხდინა საიჯარო ობიექტზე შესაბამისი სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლის მეორე ნაწილზე და განმარტა, რომ ისეთი ხარჯები, რომელთა გაღებაც საიჯარო ობიექტზე აუცილებლობით არ ხდება, ექვემდებარება ანაზღაურებას დავალების

გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებით. სასამართლომ შემდგომში მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 974-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ სხვისი საქმეების შესრულებისთვის გაღებული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი ხარჯები გაწეულია მესაკუთრის ნების და ინტერესის შესაბამისად. სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან დგინდებოდა, რომ მეიჯარეს ინტერესები არ შელახულა მის საკუთრებაში არსებულ საიჯარო ობიექტზე მოიჯარეს მიერ სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებით და ვინაიდან მეიჯარეს მხრიდან თანხმობა იყო ასეთი სამუშაოების ჩატარებაზე განცხადებული, მოიჯარეს მიერ გაწეული ხარჯი უნდა ანაზღაურებულიყო სრულად.

## Contact information

bakertilly  
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.  
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge  
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.